„ მწერლური პუბლიცისტიკა“ და მისი ისტორიული წანამძღვრები

მარინე ლომიძე, mari.lomidze@yahoo.com ჟურნალისტიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი(აფილირების მიხედვით), სდასუს ასოცირებული პროფესორი

„მწერლური პუბლიცისტიკა“ და მისი ისტორიული წანამძღვრები

თანამედროვე ეპოქის - „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აფეთქების ხანის“- განმასხვავებელი თავისებურება ისიცაა, რომ ინფორმაციის მოცულობა, ფლობა, გავრცელება არნახულ მასშტაბებს აღწევს. ინფორმაციის სასიცოცხლო მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო „იჭრება“ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში. ინფორმაცია ცვლის სამყაროს.

ჩვენი ცხოვრების თანადროული გარდაქმნების პერიოდში, „ინფორმაციული ომების“ ხანაში სიტყვა იძენს ჯადოსნურ ძალას და ადამიანთა შორის ურთიერთობის ზეპირ და წერით მეტყველებას ფასდაუდებელ პოტენციალს უჩენს. ამ საყოველთაო ფონზე, ჩვენს ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი სივრცის პირობებში, პუბლიცისტიკა იბრუნებს თავის მისიას: საავტორო სვეტებით, სარედაქციო გამოსვლებით, საჯარო სიტყვებით, ე.წ. ბლოგებით. ჯერჯერობით უფრო ფორმებით, ხოლო შინაარსითა და ეთიკური ნორმებით ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველისგან.

ტერმინი,,მწერლური პუბლიცისტიკა“ არახალია, მაგრამ არც ისე ძველი, მასში ძირითადად იგულისხმება მწერლების მიერ შექმნილი პუბლიცისტური თხზულებები. მწერლური პუბლიცისტიკა ავსებს და აძლიერებს მწერლის შემოქმედებით სააზროვნო სივრცეს, მას ასპარეზს აძლევს, წმინდა ლიტერატურული აზროვნების მიღმა ღიად გამოხატოს თავისი სათქმელი დოკუმენტური პროზის სახით.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას „მწერლური პუბლიცისტიკის“ დიდი შემოქმედებითი ტრადიცია გააჩნია. ტერმინია შედარებით ახალი, თორემ ეს მოვლენა ქართული სინამდვილისთვის სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშები ჩვენი კლასიკოსიმწერლების კალამს ეკუთვნის და სწორედ მათი ნააზრევია „მწერლური პუბლიცისტიკის“ პარადიგმები: ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი.

XX საუკუნის ჩვენი დროის მწერლური პუბლიცისტიკის პარადიგმებია ოთარ ჭილაძისა და ჯემალ ქარჩხაძის ნააზრევი. დიალოგებში ასახული მათი მსჯელობები გამორჩეულად მწერლურია. ისტორიული მეხსიერებით აღბეჭდილი ეს უნიკალური მასალა სანიმუშოდ გამოდგება პუბლიცისტიკის შემსწავლელი სტუდენტებისათვის; იქნებ საინტერესოა მოსაზრებისა და ანალიზის ფორმატით მწერალი ჟურნალისტებისა და ზოგადად პუბლიცისტიკის საკითხებითა და ისტორიით დაინტერესებულთათვის.

"Writer’s Journalism" and its Historical Principles

Marine Lomidze, Doctor of Journalism, Professor

Technical University of Georgia

SDASU

The distinguishing feature of the modern era - "the era of the explosion of scientific and technical progress" - is that the volume, possession, dissemination of information reaches unprecedented levels. The vital importance of information "intruded" more and more into the daily life of people, into the spheres of socio-political life. Information changes the world.

In the period of contemporary transformations of our life, in the age of "information wars", the word acquires a magical power, and the oral and written communication between people shows an invaluable potential. In this general background, within the framework of the legal space of freedom of speech and expression in our country, journalism is regaining its mission: with opinion columns, editorial speeches, public words, so-called blogs. So far, only in terms of forms, but in content and ethical standards we are still far from the desired.

The term "writerly journalism" is not new, but not that old either, it basically refers to journalistic writings created by writers. Literary journalism fills and strengthens the space of the writer's creative *thinking, gives him/her an opportunity to openly express what he/she has to say in the form of documentary prose, beyond the purely literary thinking.*

The history of Georgian public thought has a great creative tradition of "written journalism". The term is relatively new, otherwise the event is completely natural for the Georgian reality. The best examples of journalism belong to the pen of our classic writers, and it is they who think through the paradigms of "writing journalism": Vazha-Pshavela, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli. The ideas of Otar Chiladze and Jemal Karchkhadze are the paradigms of publicistic writing of our time in the 20th century. Their reasoning, reflected in the dialogues, is exclusively literary. This unique material, captured by historical memory, will serve as a model for journalism students; Perhaps it will be of interest to writer-journalists in the format of opinion and analysis, as well as to those interested in publicistic issues and history in general.

საკვანძო სიტყვები: მწერლური პუბლიცისტიკა, პუბლიცისტი, პუბლიცისტიკა, ლიტერატურა, მწერალი, კლასიკოსი.

თანამედროვე ეპოქის - „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აფეთქების ხანის“- განმასხვავებელი თავისებურება ისიცაა, რომ ინფორმაციის მოცულობა, ფლობა, გავრცელება არნახულ მასშტაბებს აღწევს. ინფორმაციის სასიცოცხლო მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო „იჭრება“ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში. ერთი სიტყვით, ანბანური ჭეშმარიტებაა- ინფორმაცია ცვლის სამყაროს.

ჩვენი ცხოვრების თანადროული გარდაქმნების პერიოდში, „ინფორმაციული ომების“ ხანაში სიტყვა იძენს ჯადოსნურ ძალას და ადამიანთა შორის ურთიერთობის ზეპირ და წერით მეტყველებას ფასდაუდებელ პოტენციალს უჩენს. ამ საყოველთაო ფონზე, ჩვენს ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი სივრცის პირობებში, პუბლიცისტიკა იბრუნებს თავის მისიას: საავტორო სვეტებით, სარედაქციო გამოსვლებით, საჯარო სიტყვებით, ე.წ. ბლოგებით. ჯერჯერობით უფრო

ფორმებით, ხოლო შინაარსითა და ეთიკური ნორმებით ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველისგან.

რას ნიშნავს ტერმინი „მწერლური პუბლიცისტიკა“. ცხადია, ამ სიტყვათა შეთანხმების მიმართ კითხვები ჩნდება და ისინი სათანადო განმარტებას საჭიროებს.

ტერმინი ,,მწერლური პუბლიცისტიკა“ არახალია, მაგრამ არც ისე ძველი, მასში ძირითადად იგულისხმება მწერლების მიერ შექმნილი პუბლიცისტური თხზულებები. მწერლური პუბლიცისტიკა ავსებს და აძლიერებს მწერლის შემოქმედებით სააზროვნო სივრცეს, მას აპარეზს აძლევს, წმინდა ლიტერატურული აზროვნების მიღმა ღიად გამოხატოს თავისი სათქმელი დოკუმენტური პროზის სახით. პუბლიცისტიკა/ჟურნალისტიკა სოციალური დარგის დისციპლინაა/საქმიანობაა. პუბლიცისტიკის განსაზღვრებაც ამას გვეუბნება: ,,ლიტერატურის დარგი, რომელიც აშუქებს საზოგადოებრივ - პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებს“.[1] ჟურნალისტები პუბლიცისტურ თხზულებებს ქმნიან. ეს მათი უპირველესი მოვალეობაა. უფრო მეტიც - არსებობს მოსაზრება, რომ ლიტერატურული კრიტიკა პუბლიცისტური შემოქმედების სახეობად განიხილოს და იგი, როგორც პუბლიცისტური იდეის გამომსახველობითი საშუალება (ობიექტურ სინამდვილეზე ზემოქმედების მხატვრული ხერხი), ჟურნალისტური საქმიანობის შემადგენელ ერთეულად მივიჩნიოთ. ეს და ბევრი სხვა თემა, რომლებიც დარგის განვითარებამ და საქმიანობის პრაქტიკამ წარმოშვა, საგანგებო მსჯელობას მოითხოვს და სცდება ჩვენი განხილვის საგანს. ამჯერად ჩემი მიზანია გამოვყო ის თავისებურებები, რომლებიც მწერლის პუბლიცისტურ აზროვნებას ახასიათებს, გამოარჩევს მას წმინდა ჟურნალისტური თხზულებიდან და გვაძლევს საფუძველს მწერლური პუბლიცისტიკის სახელდებისა.

მწერლურ პუბლიცისტიკაში თავმოყრილია ერთგვარი გამჭოლი პრინციპები, რომლებიც აერთიანებს ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის (ამ ორი სფეროს) შემოქმედებითი საქმიანობის გამოხატვის სტილურ, სტილისტიკურ, ფუნქციონალურ თავისებურებებს. იგი გარდამავალი მოვლენაა, რომელიც აერთიანებს

პუბლიცისტურობას და მხატვრულობას როგორც აზროვნების საშუალებებს. მწერლურ პუბლიცისტიკას განიხილავენ, როგორც შემოქმედის იმგვარ საქმიანობას, რომელიც ასახავს სინამდვილის სხვადასხვა საკითხზე ავტორის პოზიციებს. მწერლური პუბლიცისტიკა ჟანრულად ენათესავება როგორც მოთხრობას, (შინაარსის გადმოცემის, თხრობის მანერით, ეფექტური გამომსახველობითი ფორმებით), ისე ანალიტიკურ პუბლიკაციას - ე. წ. მოსაზრების წერის (opinion writing) ნიმუშებს. მასზე გარკვეულ გავლენას ახდენს მედიასაშუალება, სადაც მწერალი პუბლიცისტის ამპლუაში გამოდის. გასათვალისწინებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავისებურებები (მიზნობრივი და პოტენციური აუდიტორია, ადრესატის მოთხოვნები, გამოცემის მიმართულება და პერიოდულობა, ჟანრული მოდელი, პრობლემატიკა და თემატიკა, გამოცემის გამოსვლისთვის არსებული მდგომარეობა და სხვ).

აღსანიშნავია, რომ მხატვრულ ნაწარმოებებში გარკვეული დოზით შეინიშნება პუბლიცისტური სიმწვავე. ლიტერატურული ნაწარმოებების პუბლიცისტურობას განაპირობებს, უპირველესად, თემა, აქტუალობა, ხედვა, სიტუაციის განვითარება და გადაწყვეტა.

მწერლების პუბლიცისტიკის ფენომენს საბჭოთა და პოსტსაბჭოურ სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორც „Писательская публицистика“, მხატვრულ პუბლიცისტიკად (художественная публицистика), ლიტერატურულ პუბლიცისტიკად (литературная публицистика.) ხოლო ზოგიერთ უცხოურ თეორიაში - როგორც „ლიტერატურული ჟურნალისტიკა“ (Literary journalism) , „თხრობითი ჟურნალისტიკა“ (Narrative journalism), ,,ახალი ჟურნალიზმი“(New journalism), რომელიც მხატვრულად გადმოცემული ამბავია. იგი XX საუკუნის 60-70-იან წლებში წარმოიშვა და ჟურნალისტიკის/ პუბლიცისტიკისა და პროზაული ნარატივის ურთიერთსწრაფვის ტენდენციები (მხატვრული ლიტერატურა-პუბლიცისტიკისაკენ, ხოლო ჟურნალისტიკა/პუბლიცისტიკა-პროზისაკენ) შეითავსა. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ტრუმენ კეპოტი, თომას ვულფი, გაი თალესი და სხვ.

„ მწერლური პუბლიცისტიკაზე“ სამსჯელოდ საინტერესოა ჩვენი ისტორიული წანამძღვრების, გამოცდილების გახსენება. ცნობილია, რომ საქართველოში პუბლიცისტიკის აღზევება XIX საუკუნეს უკავშირდება. „დაუდგრომელ დუღილსა და ფეხშეუფერხებელ მოძრაობაში“ მყოფი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება კარგ მასალას იძლეოდა ერის საუკეთესო შვილებს ამგვარი მოღვაწეობითაც უდიდესი გავლენა მოეხდინათ ქართულ ცნობიერებაზე, საზოგადოდ ორიენტაციის რთულ პროცესზე.

სოლომონ დოდაშვილი, ივანე კერესელიძე, ნიკო ავალიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ნანეიშვილი, ივანე მაჩაბელი, გიორგი წერეთელი, ნოე ჟორდანია, ვაჟა ფშაველა, კიტა აბაშიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, სამსონ ფირცხალავა, იოსებ იმედაშვილი, ირაკლი (კაკი) წერეთელი, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, შალვა ამირეჯიბი, ვალერიალ გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სპირიდონ კედია - ეს არასრული სიაა ავტორებისა, რომელთა შორის „ბევრი... სახელგანთქმული პოეტია, ზოგი-კლასიკოსი პროზაიკოსი, სხვა მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი, ან უნიჭიერესი კრიტიკოსი, თუ შეუვალი პოლიტიკოსი, მაგრამ, როგორც შემოქმედი პუბლიცისტი, ქართული პუბლიცისტიკის მეტრი“...[2]

მათი პუბლიცისტური წერილები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის სააზროვნო სივრცის ავ-კარგს გადმოსცემენ: „საზოგადოების ტკივილს, მოთხოვნილებებს, განათლების დონეს, სიახლეთა მიღების სურვილს, კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრების პროცესს, ჟურნალისტის მოვალეობას, ჟურნალ-გაზეთობის დანიშნულებას, თავისუფლებისათვის ბრძოლის გზების ძიებას და მრავალ სხვას“... [3] ამ უნიკალური მემკვიდრეობის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების პროცესების შესწავლა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანის ამ საქმიანობის სფერო დღემდე არასათანადოდაა გამოკვლეული.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას ,,მწერლური პუბლიცისტიკის“ დიდი შემოქმედებითი ტრადიცია გააჩნია. ტერმინია შედარებით ახალი, თორემ ეს მოვლენა ქართული სინამდვილისთვის სრულიად ბუნებრივი ამბავია. პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშები ჩვენი კლასიკოსი მწერლების კალამს ეკუთვნის და სწორედ მათი ნააზრევია „მწერლური პუბლიცისტიკის“ პარადიგმები. არის რაიმე დღეს უფრო დროული და თანამედროვე გლობალიზაციის პირობების გასააზრებლად, ვიდრე ვაჟა-ფშაველასეული პოზიცია ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმისა“,[4] ან მედიის არსებულ არაპროფესიულ გარემოში ,,ჟურნალ-გაზეთობის“ (პრესის-მ.ლ.) დანიშნულების გაგება, ვიდრე ეს ილია ჭავჭავაძის ,,ივერიის“ წინასიტყვაობებსა“[5] და ,,საქართველოს მოამბის“ გვერდებზეა მოცემული, [5] ან თუნდაც თეატრის მნიშვნელობის განსაზღვრა, როგორც ეს აკაკი წერეთლის თეატრისადმი მიძღვნილ პუბლიკაციათა სერიაშია- ,,თეატრის გამო“ [6], ,,სათეატრო შენიშვნები“[6], ,,ქართული თეატრი“[6] - ჩამოყალიბებული?

არ მგონია, ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გარდა სხვა იყოს და ეს სრული სიმართლეა. ეს პუბლიკაციები ჭეშმარიტად ამკვიდრებენ პუბლიცისტიკის, როგორც თანამედროვეობის მატიანეს სახელდებას. ამ თხზულებებს, ისევე როგორც ამ ავტორთა სხვა ნააზრევს, უკვე მესამე საუკუნეა ყავლი არ გადის. პირიქით, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო აქტუალურია, საგანგებო მნიშვნელობას იძენენ, ვიდრე მაშინ, როცა ისინი დაიწერა და ამიტომაც სამართლიანად იკავებენ ადგილს კლასიკური პუბლიცისტური ნიმუშების ჩამონათვალში. ახლა მოვუსმინოთ რას ამბობს თავად ქარჩხაძე:

XX საუკუნის ჩვენი დროის „მწერლური პუბლიცისტიკის“ პარადიგმებია ოთარ ჭილაძისა და ჯემალ ქარჩხაძის სხვადასხვა ჟანრის (ინტერვიუ-დიალოგი, ესეი, წერილი) თხზულებებში ასახული მსჯელობები. საინტერესოა რას ამბობს ჯემალ ქარჩხაძე მწერლის პუბლიცისტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ: „მწერალი კონკრეტული ადამიანია კონკრეტულ ეპოქაში, უამრავი წარმავალი, დროებითი, სადღეისო პრობლემებით გარშემორტყმული. და თუ ალღო არ უღალატებს და დროის

ორომტრიალში შეუცდომლად გაარჩევს წარმავალსა და მარადიულს, მარადიულს მხატვრულ ჭურჭელში მოაგროვებს, წარმავალს - თუ მისი მოგროვების საჭიროებასაც ხედავს-პუბლიცისტურში, ვინაიდან ყოველი მწერალი, მიუხედავად იმისა, მიმართავს თუ არა როდისმე ამ ჟანრს, მოწოდებით პუბლიცისტიცაა“. [7]. იქვე:

„ რჩევისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ ერთს ვიტყვი: დღევანდელ ვითარებაში, ალბათ, პუბლიცისტიკას მეტი ასპარეზი სჭირდება. შესაძლებელია, უფრო მეტიც კი, ვიდრე მხატვრულ ლიტერატურას“. [7]. ეს სიტყვები ითქვა გასული საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე, როცა ე. წ. პერესტროიკის პირობებში ჯერ კიდევ ფასადურად იცვლებოდა ცხოვრების წესი და ურთიერთობები და ჭეშმარიტად დგებოდა ობიექტური პუბლიცისტიკის ასპარეზობის ჟამი.

ჭილაძისა და ქარჩხაძის პუბლიცისტური ნარატივი გამორჩეულად მწერლურია. ისტორიული მეხსიერებით აღბეჭდილი ეს უნიკალური მასალა სანიმუშოდ გამოდგება პუბლიცისტიკის შემსწავლელი სტუდენტებისათვის, იქნებ საინტერესო იყოს მოსაზრებისა და ანალიზის ფორმატით მწერალი ჟურნალისტებისა და მათთვისაც, ვინც ზოგადად პუბლიცისტიკის საკითხებითა და ისტორიით არიან დაინტერესებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბიბლიოთეკო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=10&t=4543
2. ქართული პუბლიცისტიკა. ქრესტომათია. XX საუკუნე. ნაკვეთი I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
3. ქართული პუბლიცისტიკა. ქრესტომათია. XIX საუკუნე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.

4. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ორ ტომად. ტ. 2. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, 1979.

5. ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. 3. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986.

6. აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. 5. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“,თბილისი, 1990.

7. ჯემალ ქარჩხაძე. პუბლიცისტიკა. ,,ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2014.